აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 18

11 ივნისი 2004 წ ქ ბათუმი

სხდომას
თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა.

სხდომას
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გიზო მჭედლიძე, გუგული დუაძე, გულნარა ბზიკაძე, სერგო დუმბაძე, ლევან ჩავლეიშვილი, სიმონ ჩხაიძე, მამუკა წულუკიძე, ქეთევან ჯიქია,

აგრეთვე ესწრებოდნენ: ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ნონიკაშვილი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სამსახურის უფროსები: არჩილ მიქელაძე-საერთო სამსახურის უფროსი, ვალერი გიორგაძე-საორგანიზაციო სამსახურის უფროსი, თამაზ შარმანაშვილი-იურიდიული სამსახურის უფროსი, გელა ჯორთმენაძე-ეკონომიკური სამსახურის უფროსი, ავთანდილ ტრაპაიძე კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ნესტან ნაკაშიძე-საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კომისიას განსახილველად წარმოუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: დღის წესრიგის დამტკიცებამდე სიტყვით გამოვიდა იურიდიული სამსახურის უფროსი-თამაზ შარმანაშვილი. მან აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული განკარგულების პროექტი ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციისათვის "საერთაშორისო გამჭვირვალეობა საქართველო"-ს სახელით შემოსულია დამატებითი წერილობითი ინფორმაცია და პროექტის სრულად წარმოდგენისათვის გადავიტანოთ მომდევნო სხდომისათვის. კომისიის წევრებმა გაიზიარეს წამოყენებული წინადადება.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე -9

წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ;

2. დადგენილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ;

3. დადგენილება წინასაარჩევნო აგიტაციისა და რეკლამის განთავსების წესის შესახებ;

4. განკარგულება საინიციატივო ჯგუფების მიერ წარგენილი აჭარის არ უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების რიგითობის განსაზღვრის წესის შესახებ;

5. განკარგულება საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის "IFES Limited" რეგისტრაციის შესახებ;

6. განკარგულება ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციისათვის "ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია" რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ;

7. განკარგულება საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციის "OSCE" რეგისტრაციის შესახებ;

8. ინფორმაცია სამხედრო ნაწილების მუდმივი დისლოკაციის ადგილებში საარჩევნო უბნების გახსნის საკითხის შესახებ;

9. ინფორმაცია საზაფხულო სამუშაოებზე გასული ამომრჩევლებისათვის არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფის საკითხის შესახებ;

10. სხვადასხვა

1. განკარგულება ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა გიზო მჭედლიძემ. მან აღნიშნა, რომ კენჭისყრის შედეგების საუბნო შემაჯამებელი ოქმის დაწერისას დაშვებული შეცდომის გამოსასწორებლად უნდა დაიწეროს აქტი, რაც ხშირ შემთხვევაში არ იწერება ან იწერება შეცდომით, ამიტომ შევიმუშავეთ საუბნო საარჩევნო კომისიაში შედეგების შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმის ახალი ფორმა, ასევე შევიმუშავეთ კენჭისყრის შედეგების საუბნო შემაჯამებელი ოქმის ფორმა. წამოყენებული საკითხი განხილული იქნა კომისიის წევრების მიერ.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის განკარგულების წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების თაობაზე

კენჭისყრის შედეგი: მომხრე -9
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

2. დადგენილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ

აზრი გამოთქვეს: საერთო სამსახურის უფროსმა არჩილ მიქელაძემ აღნიშნა, რომ "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით იქმნება და ფუნქციონირებს უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატი, მაგრამ ამავე კანონით არ არის მოწესრიგებული აპარატის საშტატო განრიგის დამტკიცება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში მომზადდა პროექტი, რომელიც წარედგინა დროებით საპრეზიდენტო საბჭოს. დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს მიერ კანონში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საშტატო განრიგს კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს უმაღლესი საარჩევნო კომისია. წამოყენებული საკითხის გარშემო კამათში ჩაერთვნენ კომისიის წევრები: გიზო მჭედლიძე, გუგული დუაძე, ლევან ჩავლეიშვილი.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე -9
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

3. დადგენილება წინასაარჩევნო აგიტაციისა და რეკლამის განთავსების წესის შესახებ

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი წინასაარჩევნო აგიტაციისა და რეკლამის განთავსების წესის შესახებ

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა გიზო მჭედლიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 73-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაცია შეიძლება განხორციელდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. ე. ი. კანონში მინიშნებული არ არის, რომ ნებისმიერი სახის აგიტაციის ჩატარება უსასყიდლოდ შეიძლება მხოლოდ ადგილობრივი სახელმწიფო ტელერადიომაუწყებლობისათვის, რაც სამომავლოდ დარეგულირდება.
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნესტან ნაკაშიძემ ჩამოაყალიბა, თუ რა ჯდება სარეკლამო რგოლების გაშვება ადგილობრივი კერძო ტელევიზიით და როგორ მიმდინარეობს წინასაარჩევნო პერიოდი რეკლამებით, პლაკატებით თუ სამოძრაო სარეკლამო ტრანპორტის საშუალებებით.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე -9
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

4. განკარგულება საინიციატივო ჯგუფების მიერ წარგენილი აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების რიგითობის განსაზღვრის წესის შესახებ

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების რიგითობის განსაზღვრის წესის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი საკითხის გარშემო ისაუბრა კომისიის წევრმა გიზო მჭედლიძემ, რომელმაც აღნიშა, რომ უსკოს მიერ 2004 წლის 1 ივნისს მიღებული № 10 დადგენილების პირველი მუხლის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის და საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის 2004 წლის 28 მარტს ჩატარებული ხელახალი არჩევნებისათვის

კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტებს მიეცათ უფლება, განცხადებით მიმართონ უსკოს არა უგვიანეს 2004 წლის 12 ივნისისა და მოითხოვონ არჩევნებში მონაწილეობა იგივე რიგითი ნომრით, რომელიც მათ მინიჭებული ჰქონდათ 2003 წლის 2 ნოემბრის 2004 წლის 28 მარტს ჩატარებული არჩევნებისათვის, ამიტომ საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების რიგითობის განსაზღვრისათვის, საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გამოყენებული იქნეს თანმიმდევრობა 15-დან, რაც წარმოდგენილია განკარგულების პროექტში, დაემატოს თავისუფალი რიცხვები: 10, 11,12 და 13 და ამ ცვლილებით უყაროთ კენჭი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს .

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე -9
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

5. განკარგულება საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის "IFES Limited" რეგისტრაციის შესახებ;

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის "IFES Limited" რეგისტრაციის შესახებ. . ეს არის ანალოგიური მომართვა საერთაშორისო ორგანიზაციისა, რომელიც ითხოვს თანხმობას რეგისტრაციაში გატარებისათვის, ჩვენ მხოლოდ მივესალმებით, რასაც დაეთანხმა კომისიის ყველა წევრი.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე -9
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

6. განკარგულება ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციისათვის "ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია" რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ წარმოადგინა განკარგულების პროექტი

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციისათვის "ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია" რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ

აზრი გამოთქვეს: საკითხის ირგვლივ განმარტება გააკეთა იურიდიული სამსახურის უფროსმა თ. შარმანაშვილმა. "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რეგისტრაციაში გატარების მიზნით, ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საარჩევნო კომისიას არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 10 დღისა და წარუდგინოს თავისი წესდების ნოტარიულად დამოწმებული ასლი. ამ უკანასკნელმა კი განცხადებით მოგვმართა მხოლოდ 11 ივნისს. ამიტომ მისი რეგისტრაციაში გატარება კანონის დარღვევაა, ამიტომაც განკარგულებით უნდა ეთქვას უარი ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაცია "ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაცია"-ს რეგისტრაციაში გატარებაზე.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე -9
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

7. განკარგულება საერთაშორისო სადამკვირებლო ორგანიზაციის "OSCE" რეგისტრაციის შესახებ

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ წარმოადგინა განკარგულების პროექტი საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციის "OSCE" რეგისტრაციის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ეს არის ანალოგიური პროექტი განკარგულებისა, რომელიც იქნა მიღებული დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხად. წარმოდგენილ ორგანიზაციას ყველა დოკუმენტი წესრიგში აქვს, ამიტომ კენჭი უყაროთ წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

8. ინფორმაცია სამხედრო ნაწილების მუდმივი დისლოკაციის ადგილებში საარჩევნო უბნების გახსნის საკითხის შესახებ;

მოისმინეს: ინფორმაცია სამხედრო ნაწილების მუდმივი დისლოკაციის ადგილებში საარჩევნო უბნების გახსნის საკითხის შესახებ, რომელიც წარმოადგინა კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ. წინა დღით დაწყებული მსჯელობა გაგრძელდა, უსკოს არა აქვს საკმარისი

ინფორმაცია, თუ კონკრეტულად რამდენი მოსამსახურეა ამა თუ იმ სამხედრო შენაერთებში, აქვთ თუ არა მათ არჩევნებში მონაწილეობისათვის რაიმე დოკუმენტი, თუნდაც სამხედრო ბილეთი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა სიმონ ჩხაიძემ განმარტა, რომ ჩვენ გუშინ ვისაუბრეთ იმის თაობაზე, რომ თუ სამხედრო შენაერთში იქნებოდა 50-ზე ნაკლები მოსამსახურე, ისინი მიგვემაგრებინა საარჩევნო უბანზე, დღეს კი უნდა ვისაუბროთ და პრინციპულად გადავწყვიტოთ იმის თაობაზე, რომ თუ სამხედრო ნაწილის მოსამსახურეთა რაოდენობა 50-ზე მეტია, იმათთვის გაიხსნას თუ არა უბანი? საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი"-ს 16-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გამონაკლის შემთხვევებში (სამხედრო ნაწილი, რომელშიც 50-ზე მეტი ამომრჩეველია, სამხედრო მოსამსახურე) საარჩევნო უბანი შეიძლება შეიქმნას კენჭიყრამდე არა უგვიანს მე-15 დღისა. ჩვენ შეიძლება მივცეთ ოლქის თავმჯდომარეს უფლება მისი გადაწყვეტილებით შექმნას უბანი, ეს იქნება უფლება და არა ვალდებულება. კამათში მონაწილეობა მიიღო კომისიის წევრმა გიზო მჭედლიძემ.

დაადგინეს: ამ საკითხთან დაკავშირებით ემსჯელათ კიდევ ერთხელ, სიმონ ჩხაიძეს დაევალა იურიდიულ სამსახურთან ერთად მოამზადოს დადგენილების პროექტი შემდეგი სხდომისათვის.

9. ინფორმაცია საზაფხულო სამუშაოებზე გასული ამომრჩევლებისათვის არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფის საკითხის შესახებ;

მოისმინეს: საორგანიზაციო სამსახურის უფროსის ვალერი გიორგაძის ინფორმაცია თუ რომელ საარჩევნო ოლქებში და რა რაოდენობის ამომრჩეველია გასული. ხულოს საარჩევნო ოლქებიდან ჯერ-ჯერობით არა გვაქვს ინფორმაცია, განაცხადა ვ. გიორგაძემ, ხოლო რაც შეეხება შუახევის საარჩევნო ოლქებს, 82/9-დან საზაფხულო იალაღებზე გასულია 831 ამომრჩეველი, ხოლო 82/10-დან 1130, ქედის საარჩევნო ოლქებიდან დაახლოებით 190 ამომრჩეველი. კომისიის ყველა წევრმა ერთხმად აღნიშნა, რომ ეს საკმაოდ სერიოზული ციფრია და კიდევ ერთხელ დაგვჭირდება მსჯელობა ამ საკითხის გარშემო, თუ როგორ შეიძლება ჩავატაროთ არჩევნები ასეთ პირობებში? დაადგინეს საკითხი სერიოზული განხილვის საგნად გადავიდეს მომდევნო სხდომისათვის.

სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით კომისიამ მოისმინა კომისიის წევრების ინფორმაცია, რომელიც შეგროვდა მათ მიერ დღის განმავლობაში უბნებზე შემოვლის დროს უბნების მუშაობის ხარისხთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა

კომისიის მდივანი გ. მჭედლიძე